

გაზეთის ფასი

მაგნიტის ტფილისში	მაგნიტის ტფილისში
და გარეშე ადგილებში:	მაგნიტის ტფილისში:
პრისის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
კალკე ერთის ნუშრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.	

დროება



საქართველის მიმართ:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭედილის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზე. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება. — მართებლობის განკარგულება. — რუსეთის ამბები. — ამერიკის შკოლები. — პოლიტიკა. — ისანია. — სენგლია. — რუსეთი. — ლექსები: „სცხო შარა“. — „დროების“ კორრესპონდენცია. — სხვა და სხვა ამბები. — საფუძრო ცნობები. — შედეგები. — განცხადება.

რედაქციის განცხადება.

რადგან „დროების“ რედაქტორი თავის საჭიროებისათვის მიდის პეტერბურგს, იმის მაგივრად დროებით რედაქტორობა გაზეთისა იყისრა უფ. მესხმა.

რედაქციას მოსდის ხშირად თავის გარეშე თანამშრომლებისაგან ხელმოაწერილი სტატიები და ამის გამო უჭირს ამ რიგი სტატიების დაბეჭდვა, რადგანაც ავტორის სახელი საჭიროა რედაქციისთვის ყოველ შემთხვევაში. უმარჩილესად ვთხოვთ ჩვენ გარეშე თანამშრომლებს შემდეგში მოაწირონ თავიანთი სახელი, გვარი და ცხოვრების ადგილი. პეტროს, რასაკვირველია, შეუძლია თხოვოს რედაქციას, რომ მათი სახელი არ იყოს გაზეთში გამოცხადებული.

ფელეტონი.

წიგნი მუთისაჲ მამობართან

შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ვწუხდი მე, რომ ამოდენი ხანა შენი თხოვნა ვერ ავასრულე და ვერ მოგწერე წიგნი; მაგრამ, ჩვენ მეგობრობას ვფიცავ; ამაში მე სრულებით არა ვარ დამნაშავე; ეს სულ, ჩემო საყვარელო მეგობარო, ჯერ ქვეყნის, მერე მთელის და მერე კაცის ავებულობის ბრალია. ჩემი რა ბრალია, რომ მე შემთხვევა და თავისუფალი დრო ჩემ დღეში არ მქონია, რომ ერთი ბევრ მანძილზე მოეზარებულყოფიერად მუთის და მბილისი, ჩვენს დედო-ქალაქი, მინც მენახა, თუ სხვა ქვეყნები არა. შენც კარგათ იცი, რომ მე, ავგროცა ხუთის წლის კაცს, მუთისის მეტი ქალაქი არ მინახავს, და ნახევარი ჩემი სიტყვებით მუთისის ბულვარში გამიტარებია. მამა სადამე, რაღა ლაპარაკი უნდა, მბილისი იმოდენად შემოქცეულა, რომ შენი წიგნის მოსაწერათ ვერ მოვიტოვებდი. ძაცის ავებულება ისეთ ნაირია, ჩემო მეგობარო, რომ თუ ერთმა რამემ შეიქცია და მიიზიდა მისი ყურადღება — მშვიდობით! — მაშინ შენისთანა კარგ მეგობართან წიგნის მიწერა-კი არა, მთელი ქვეყანა დააიწყებდა. მხლა ესეც მოიფიქრე, ჩემისთანა ველური კაცის შექცევა და ჩემი ყურადღების მიზიდვა შეუძლია თუ არა ისეთ ქალაქს, როგორც მთელისია!.. დამიჯერე, მეგობარო, რომ მთელისის შეუძლია მე და შენისთანა კაცების ყურადღების მიქცევა! შენც ჩემსავით კრუნს რომ არა ჰგადავ და ცოტა განძრევა გიყვარდეს და ერთი კვირით მაინც მოხვიდოდე აქ, მაშინ დარწმუნდები ამ ჩემს სიტყვებში.

მხლა მინდა აქაური ამბავი დაწერილობით გაიზიდა, მაგრამ არ ვიცი, ღმერთს ვფიცავ, საიდან დაიწყო და რით გაეთავო. ბოლოდან დაიწყო და თავით დაეხოლო, თუ თავიდან დაიწყო და გაეთავო ბოლოთი? როგორ მიჩვენე? მე გონია თავიდან დაწყება სჯობდა; დისციპლინა კარგი ნივთია! მაშინ ვიწყებ. — მე გამოვედი მცხეთიდან სადილს უკან და ქალაქში რომ შევედი, ბნელდებოდა, რო-

ბრძანება ქაშაისის ნამოსახლარის სამმართველოში.

5 აპრილს 1869 წ. ტფილისს. — დანიშნულებიან სამსახურში, გარდაუქმნულთაგან: კოლეჯის სოფელნიკი პრაქინსკი, — საეკლესიო მამულების გამგებლად, შორის მარაში; ტიტულიარნი სოფელნიკი სტეფანოვი — მლიხავეტოპოლის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგათ. დანიშნულებიან: ტფილისის მახრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე ლობზერიძე — მუთისის მახრის მომრიგებელ მოსამართლეთ; ქ. მრეწვის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე სტაროსელსკი — შალციხის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე; დანიშნული ელზავეტოპოლის ოლქის სასამართლოსთან კანდიდატი მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე; მლიხავეტოპოლის მომრიგებელი განყოფილების სერკეტარი, ახმედ-ალაშეილოვი — კანდიდატად მლიხავეტოპოლის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე თანამდებობაზე.

ღვთობით დათხოვნიან სამხლარ გარეთ წასასვლელად: მუბანის მახრის ნახალნიკი მიაორი ხურაბოვი — ბერლინი-ში-ში თვის ვადით. მუთისის კლას-

გორც კი შევედი იმსჩიკი, რომელიც მთელი გზა მუხრებით იყო, მუხრებმა — ერთი კარგი გოსტინიცა ვიცი, ბატონო, ვინცე მოდის ხოლმე ან მუთისიდან ან ქახეთიდან, ყველანი იქ ჩამოხდებიან; იაფიც არის და კარგია. თქვენ ხომ გოსტინიცაში არ ჩამოხდებით? — მუხრებმა ის.

— არა, ძეგო, მე ერთი მეგობარი კაცი მყავს და იმასთან უნდა ჩამოხდეთ. მთხარ მე.

— მე სულ სხვა ანგარიშია, მაგრამ მართალი გითხრა, ბატონო, არა ღირს სხვასთან ჩამოხდომა; შეიძლება ცოლშვილიანი კაცია, შეაფიქროვო, ან ვეყინოს! გოსტინიცისთანა როგორ იქნება, დადგები შენთვის თავისუფლათა. არც შენ შეაწუხებ არავის, არც შენ შეგაწუხებენ!

— თუ შეაწუხებდე, რად დამბატლებდე, ძეგო არ დამიტანებო! არა ერთი ეს მითხარი, შენთვის ხომ ერთია, სადაც უნდა დადგე მე? ვითხებ.

— რასაკვირველია, ერთია, მე რა მენადვლება, მე თქვენთვის გეუბნებით, თორემ მე რა? ჩემთვის სულერთია; როგორც გენებოს, ისე ჰქენი, მაგრამ გოსტინიცაში კი სჯობია, მაინც ვიტყვი ამას.

თუმც ჩემმა ემსჩიკმა სთქვა, რომ „ჩემთვის სულ ერთია“ მაგრამ, როგორც შევეტყე, იმათთვის კი სულ ერთი არა ყოფილა; მთრმე გოსტინიცის პატრონი მდგმურის მიყვანისათვის აწუხებს იმათ რასმე „ნაფიქსი“.

ნახევარი საათის შემდეგ როგორც იყო, მოვიდნენ ჩემი ნაცნობის სადგომი და მივიჩინებ კარგებს; კარი გამიღო იმერელმა, რომელმანც მითხრა, რომ პ. ბ. შინ არისო; მე შევედი პირდაპირ ძ-სთან; პირველ შეხვედრის დროს ჩვენ, როგორც რიგია, ვაღვებვით ერთმანეთს, გავმართეთ გაცხარებული მუსაიფი: ის მომიყვა მთელისის ამბავსა და მე მუთისისა უთხარი. ათ საათზე დაქანცული ლოგინში ჩავვარდი და დილის ცხრა საათამდე ვიძინე.

— დილა მშვიდობისა ღ. დაუძახე დილას ლოგინიდან ჩემს მეგობარს, რომელიც მეორე ოთახში იყო; მაგრამ იმის მაგივრად შემოვიდა

სიკური გინახის მასწავლებელი კოლეჯის ასესორი მონდალოვსკი, მსამლოვში, ბერმანიაში და შრანციაში 15 ივნისიდან კანკულის გარდა კიდევ ერთ თვესა. მასწავლებელი ტფილისის კლასიკური გინახისა ირქიკევიჩი კანკულის გარდა ერთ თვეს ბერმანიაში შევიტარებო და იტალიაში.

რუსეთის ამბავი.

„პეტერბურლის ფურცელმა“ ამას წინეთ გვაუწყა, რომ მარშანსკის სკოპების საქმის თაობაზე დაიბოვებს სამსახურიდან და მოითხოვებს განსამართლებლად შრუდათ საქმის წყევანისათვის იქაური პოლიციმეისტერი და ტომბოვის პროკურორი. მხლა გაზეთებიდან შევიტყეთ, რომ ეს ამბები და აგრეთვე ის რომ ეთომ აღმოჩინოსთ ამ სკოპების საგან დააღუღლი ურიტევი ფულები, სულ ტყეილია.

— „მელის გაზეთში“ არის დაბეჭდილი

მოსამსახურე და მითხრა, რომ ბატონი დიდიხანა სამსახურში წაიდაო. პედეტი, ჩაიცი, როგორც რიგია, ჩაი დავლიე, დაიხურე ქული და გამოვედი აქაურ ალექსანდროვის ბაღში, რომელსაც ზოგნი აქ „მალღების პარკს“ ეძახიან. ჩემო საყვარელო მეგობარო, გარწმუნებ, რომ შენ რომ ყოფილიყავ იმ დროს ჩემთან, ბევრს შეაწიწნავ რასმე დანიხავდი მაგ. მართო აქაური ქალების — არა უკაცრავათ — ქალების ჩაცმის ნახვა, რად ღირდა!... მინდა აწერო აქაური ქალების ჩაცმა, მაგრამ, ღმერთს ვფიცავ, ვერ გამოიხდავს! ამა როგორ შეუძლია ჩემ მოუხერხებელ ბატის კალამს აწერა მათის ძვირფასის ხავერდის მოსასმებისა, რომელიც, გონი თითო ათ თუმან ნაკლებ არ ეღირება? ამა როგორ, შეუძლია ბატის კალამს აწერა მათის ანტიკომორის, პოდესუას და გლასის კაბებისა? ამა როგორ შემიძლია აწერა ამ კაბების შეკერულობისა; ამა როგორ შემიძლია აწერა აქაური ქალების ფეხსაცმელისა, ან მათის ქუსლასა, რომელიც „შუ“ ფეხს გულთან არის მიკრებული? განა ეს ადილია, შენ გგონია, ჩემო მეგობარო! დარწმუნებული იყავი, რომ არა. ამის დამწერს სულ სხვა რიგი კალამი უნდა ეჭიროს ხელში, სულ სხვა გულის პატრონი კაცი უნდა იყო.

მესაზე დღეს მე და ჩემი ნაცნობი დავიარებით პარკში; ჩვენ წინ ორი მტრედი მიდის.

— აქვე რომელი კაბა გეცვა, გენაცვა, ს-ნთ ბალში? — ჰკითხა ერთმა.

— ჩემი თეთრი პოდესუასა, ხომ გინახავს, ცხლა რომ შევაკერეინე მადისტას ისა; რომ იცოდე, ანკო, როგორ ჰმეგონდა წითელი ღენტებით და ბლონდებით? შევლანი მე მომქცერებოდენ, პაპა არ მაძიკვებდა, აი!

— მისთანაიტანცავე, მითხარი, გენაცვა?

— მისთან ვიტანცავე? — ს-სისთან, ი-სკი-სთან....

ამ დროს ისინი მიუხლოვდენ უ. ალადათოვის წიგნის მალახის და იქ შევიდენ. მაგივრანია, ჩემო როსტომ, რომ ქალები წიგნებს ჰკითხულობდენ?! ამა რა მათი საქმეა? შენ ნუ მომიკვდები ძლიერ მიკვირს ეს მე. ჩემი

ა. ბერცენის შემდეგი წიგნი: „ზოგიერთ რუსის გაზეთებში ეწერა ტყუილი ცნობა, რომ ვითომც მე ამ ცოტა ხანში მოგსულიყვე შენაში და მ. რაევსკის საშუალებით მეთხოვეს ნების დართვა ჩემს სამშობლოში დაბრუნებისათვის. მე ამდროს არცეი ვყოფილვარ შენაში, არც მ. რაევსკი მინახავს, არც წიგნი მიმიწერია იმისთვის თავის დღეში და არც ვისიმე შუამავლობა მითხოვნია ჩემი რუსეთში დაბრუნებისათვის. მე დიდი სურვილი მაქვს ჩემის სამშობლოს ნახვისა, როგორც ყველა ემიგრანტს, მაგრამ არა მგონია, რომ ახლანდელი გარემოებანი იყენენ სასარგებლოთ ამ წადილის ასრულებისათვის.

ნიცა, მარტის 14-ს. ა. ბერცენი, (უწინდელი) რედაქტორი „ზარისა“.

ამერიკის უკოლავი.

ჯერ 400 წელიწადი არ არის *) რაც ერთ-*) 1492 წელში.

აზრით ქალი უნდა იჯდეს შინ და ჰკერავდეს ჰქსოვდეს და სტუმრებს იღებდეს, ნამეტურ თუ ყმაწვილი ქალი და მოხუცებული ქმარის პატრონია და სხ. იმისთანაები, თორემ წიგნის მაგაზინებში სიარული, ამა რა მათი საქმეა, შენი ჰირიმე! ამა ერთი მეც შეეალ ამ მალახაში, ვითომც საქმე მაქვს, და შევხედავ რომელს წიგნს იყიდიან,

— მითხარით, გეთყავ, თქვენ პოდესუას რომანები გაქეთ?

— მახლავთ, რომელი გენებეთ?

— „შქმარო ცოლი და უცოლო ქმარი“ გაქეთ?

— მახლავთ, სხვას რას ინებებთ?

— „რუსალკას“ ნოტები გაქეთ?

— მახლავთ, მხლავ მოგართმევთ, მაჭარი წაიდა ამ წიგნების მოსაძებნად. — მოდი და ნუ იტყვი ცხლა შენ, ჩემო მეგობარო, რომ გხლანდელი ქალები ჰქეიანები და რიგინი ქალები არ არიანთქო? — რაც შეუძლიან და რაც რიგია, იმას შევრებიან და რაც უფრო სასარგებლოა მათთვის, იმას კითხულობენ. რომანების-კი, შენი ჰირიმე, იკითხონ რამდენიც ერიხოსთ; ეს ჰკუისთვის და ნამეტურ გულნისთვის მარგებელია. თორემ, ოხ ღმერთო ჩემო, რომ მომავონდებო, გული მისკდება, სხვა „განათლებულ“ ქვეყნებში ქალები, ამბობენ, ანატომიას, ხიმას და ამისთანაებს სწავლობენ თურმე!

— ბესმის ესა? — მუზიკა? ჰო, რატომ არა, შემიძლება; ეს ქალის საქმეა. მუზიკის წინააღმდეგ ვერას ვიტყვი. შოვლად მშვენიერი ქალი და მშვენიერი ხმები რომ შეიყვებიან ერთად, ამას რა უნდა სჯობდეს, მითხარ, საყვარელო!... ბევრს რასმე გაამბობდი შენ, მაგრამ ჯერ შენი თავის მოწყენისა მეშინია, რადგან, ვიცი, ბევრი კითხვის მოყვარული არა ხარ; ამას გარდა ზოგი მასალა მეორე წიგნისთვისაც უნდა შევიწახო. —

შენი და სხ.

ლაზარე მენის-შვილი.

მთელისი 1869 წ. აპრილის 14.

მა ისპანის მოგზაურმა ძოლუმმა ამერიკა აღმოაჩინა; ძოლუმს დახედა იქ ერთი ველური წითელი ფერის ერი, რომელსაც ჰქვია სახელათ წითელი ერი და რომელიც არც ტანისამოსის ჩაცმას იყო მიჩვეული, არც შინაური საქმელების ქამას, არც მიწის მუშაობასა და რომელმაც არც წიგნი იცოდა და არც სხვა რაიმე, რასაც შეჩვეულია ცოტადნათ მინც განათლებული ერი. ისინი ცხოვრობდნენ ნადირობით; ნადირს ჰკლავდნენ შეილდის-რით და იდგნენ ხის ქვეშ ან კარვებში. პირველად გაიცნეს ამერიკა მენციელებმა, რომლებიც იმ დროს სიმდიდრით და სწავლით თითქმის პირველი ერი იყო. შემდეგ (1584 წ.) გადასახლდნენ ამერიკაში ანგლიელები (ვირჯინიაში), ლოლანდიელები (ნუ-იორკში) და ფრანკუზები; ყველაზე მეტი კი ანგლიელები იყვნენ. ამერიკაში გადასახლდნენ ხოლმე ისინი, ვინც მმართველობისაგან ან საზოგადოებისაგან დევნილი იყვნენ, (მაგ. სარწმუნოებისათვის), ან ისინი, ვისაც მეროპაში ძლიერ უჭირდათ ცხოვრება, რადგანაც ვერ მოულოდნენ სამუშაოს. პირველად გადასახლებულებმა ნახეს, რომ ამერიკაში ძლიერ კარგათ შეიძლება ცხოვრება; თუ იმუშავენ კაცი, სამუშაოდ გლეხებს ყოველთვის ზღომათ იზოვის. პირველად გადასახლება, რასაკვირველია, ძნელი იყო, რადგანაც კაცისთვის ძლიერ გასაჭირია თავის სამშობლოს, ნათესავების და ნაცნობების სამუდამოდ მოშორება; ამას გარდა იმათ არც იცოდნენ ბევრითად, როგორი ცხოვრება ექნებათ ამერიკაში, რა ჰქვია, რა მიწა, რა მცენარეები, რა ცხოველები და სხვ. პირველად გადასახლებულები რომ კარგათ მოთავსდნენ, სხვებმაც გააბედეს გადასახლება ამერიკაში, ასე რომ შემდეგ წელიწადებში ათასობით და ათი ათასობით გადადიოდნენ ხოლმე. პირველი გადასახლებულები იყვნენ როგორც ეთქვით უმეტესი ნაწილი ანგლიელებისა და 1776 წლამდე ემორჩილებოდნენ ხოლმე ანგლიას; ამ წელს კი, ბევრი ომის და ზიანის შემდეგ, შრანკუზების შეწყვეთით, ცამეტმა ამერიკის შტატმა (გუბერნიამ) მოიპოვა თავისუფლება, და შეერთდნენ ერთად და დააწესეს რესპუბლიკა შეერთებული შტატებისა. მას აქეთ დაიწყო ამერიკის კეთილდღეობა, წარმატება და სიმდიდრე; მას აქეთ გარდასახლებულების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა. მსლა ამერიკის შეერთებული შტატები დაწინაურებულია სხვა განათლებულ მეროპის ხალხზე, როგორც საზოგადო განათლებით, ისე სიმდიდრით, შინაური დაწყობილებით და სხვ. ასე რომ ყოველი მეროპის ხალხი იმას ჰბაძავს ხოლმე საპოლიტიკო და საერო საქმეებში.

ამ სტატიაში ჩვენ გვინდა მოკლეთ მოვილაპარაკოთ ამერიკის პირველ-დასაწყის სასწავლებლებზე.

მეროპელები ჰფიქრობდნენ, რომ კაცი ჯერ მძღარი უნდა იყოს, ტანი საცმელით უნდა ჰქონდეს დაფარულია და მერე წიგნს თვითონ მოჰკიდებს ხელსაო. ჰქუთ გონების გახსნა და სწავლაც ამას მოჰყვება. ამერიკელები და მათი მმართველობა წინააღმდეგ ამისა, ჰფიქრობდნენ, რომ კაცის კეთილდღეობა და წარმატება სწავლისაგან არის დამოკიდებულია და ამისთვის, რაც უნდა ღარიბი და გაჭირებული კაცი იყოს, შეიღოს მინც მისცემს რასმე სწავლის საშუალებას; ისინი ამბობდნენ, მიჩინებია რომ ეხლა ცოტა გაეჭირო, ვასწავლო ჩემ შეიღს რამე და მერე კი ორი იმოდენა ვისამოდენა და ვისარგებლო—ვიდრე მეც უფუნურად და ღარიბად დავრჩე და ჩემი შეილიც ამ ნაირ მდგომარეობაში დავადგოვო. რაღა ლაპარაკი უნდა, რა ხალხსაც ამისთანა აზრი აქვს, ის არაფერს არ დაზოგავს შკოლების გასამართავად და თავის შეიღების გასანათლებლად. მართლაც არც ერთ სახელმწიფოში არ არის იმდენი შკოლები,

საშუალო და უმაღლესი და სხ. და სხვ. სახელოვნო სასწავლებლები, რამდენიც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში და არსად არ ხარჯდენ ხალხის განათლებისათვის იმდენს ფულს, რამდენიც იხარჯება ამერიკაში; ამის გამო, რასაკვირველია, არსად არ არის იმდენი განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე კაცი, რამდენიც ამერიკაშია; ამის გამო არსად არ არის იმდენი სიმდიდრე, არ სად არ ცხოვრობენ ისე კარგათ, როგორც ამერიკაში. იმის დასამტკიცებლად თუ როგორ არის ამერიკაში გაერთილებული სახალხო შკოლები მოგვყავთ ერთი მაგალითი; 1850 წელში მენის შტატში (ლუბერნია) იყო.

მცხოვრები	583,169.
სახალხო შკოლები	4,042.
მასწავლებლები ამ შკოლებში.	5,540.
მოსწავლეები	192,815.

ამ შკოლებს და მასწავლებლებს ხარჯათ უნდებოდათ . . . 315,436 დოლარი *). ასე რომ ამ ანგარიშით 144 კაცის სულზე ერთი შკოლა ხედება; არ გეგონათ, რომ იმისთანა შტატი მოგიყვანეთ მაგალითად, სადაც უფრო მეტია შკოლები; არის ისეთი შტატები, სადაც კიდევ უფრო მეტია შკოლებია, მაგრამ, რასაკვირველია იმისთანაებში არის, სადაც ორჯელ, სამჯერ უფრო ნაკლებია შკოლები ასე, რომ 300, თითქმის 400 კაცზე ერთი შკოლა; საშუალო რიცხვად, რომ 300 კაცზე ერთი შკოლა ჩავადგათ, ისიც ძლიერ საკმაოა, როდესაც წარმოიდგენთ, რომ ამ შკოლებს გარდა არის კიდევ სხვა ბევრი სახელოსნო, საშუალო (ჩვენი გიმნაზიებისთანა) და უმაღლესი სასწავლებლები. ამერიკელების უმეტესი ნაწილი უსწავლიათ ამ პირველ დასაწყის სახალხო შკოლებში, სადაც სწავლობენ ხოლმე კითხვას, წერას, ღრამატიკას, არითმეტიკას და გეოგრაფიას; ბევრის სწავლა წერა-კითხვისა ზევით არ მიდის. მაგრამ ამერიკელების სწავლა და გონების გახსნა შკოლაში არ თავდება; იმას ყოველთვის შეუძლია იმოენოს ათასობით გაზეთები, ჟურნალები და საკითხავი წიგნები; ამას გარდა ის ყოველგან ძლიერ ხშირად შეხედება განათლებულ, კეთილ და გახსნილ კაცებს, რომლებთანაც იმას საქმე უჭირავს, რომლებთანაც სჯის და მუსაიფობს, ყოველი ესე აკუთანებს და უხსნის მას გონებას; ასე რომ პირველი და უკეთესი შკოლა ამერიკაში თითონ ცხოვრებაა.—

საზოგადოებას იმოდენათ ესმის განათლების სარგებლობა, რომ შკოლების უმეტესი ნაწილი იმის ხარჯით არის გახსნილი; ის ადებს ხოლმე თავის თავს გარდასახლად და აქედან აშენებენ შკოლისთვის სახლს, აძლევენ ჯამაგირს მასწავლებლებს და სხვ. უმაღლესი სასწავლებლები კი თითქმის ყველა სახელმწიფო ხარჯით არიან.

პირველ დასაწყის სახალხო შკოლებში არაფერს არ ახდენებენ სწავლისათვის. შევლა საგნებს ამ შკოლებში ასწავლის ხოლმე ერთი ვინმე ქალი, ან კაცი. უფრო ხშირად კი ქალია მასწავლებლად. ამერიკელები ქალს ამჯობნიდნენ მასწავლებლად, რადგან ისინი უფრო იაფათ უჯდებოთ ხოლმე იმათ; კერაში ქალს 6 დოლარს აძლევენ, კაცი კი არ დასჯერდება ამდენს; მეორეთ იმისთვის ამჯობნიდნენ ქალებს მასწავლებლად, რომ იმათ ნაზს და ტკბილ მოქცევას ყოველთვის უფრო კარგი და კეთილი განეღნა აქვს ყმაწვილის ჩჩვილს და ნორჩს გულზე და იმათ კიდევაც უფრო უგონებენ ყმაწვილები, ვიდრე კაცსა. ამიტომაც არც ერთ ქვეყანაში არა აქვს ქალს საზოგადოთ იმდენი პატივისცემა და იმდენი უფლება, როგორც ამერიკაში; ისინი, როგორც, კაცები სწავლობენ უმაღლესს სასწავლებლებში—უნივერსიტეტებში და ზოგნი იმათგანი პროფესორებათაც არიან.

*) დოლარი შეადგენს 1 მან. და 25 კოპ.

ამერიკის შკოლებში ქალები და ვაჟები ორიენი ერთად სწავლობენ; გამოცდილია, რომ ამ საორსკესო შკოლებში ქალებიც და ვაჟებიც უკეთ სწავლობენ ერთი მგორის მიხედვით ვიდრე იმ შკოლებში, სადაც ესენი გაცალკევებულნი არიან. უმეტესი ნაწილი ამ სახალხო შკოლებისა არის გახსნილი მარტო ზამთარში, ოკტომბრიდან მისამდე, რადგან ზამთარში ღარიბ მამებს იმდენათ არ სჭირათ შეიღები სამუშაოდ. ამას გარდა იმათ არ ასწავლიან არც შაბათ-კვირაობით; სხვა დღეებს კი დღეში ექვსი საათი სწავლობენ; სამი დილით და სამი საღამოს. ჰოველს საათის შემდეგ იმათ აძლევენ მოსასვენებლად 1/4 საათს, როდესაც ისინი თამაშობენ ხოლმე და მოსვენების შემდეგ ისევ ხალისიანად მოსდებიან სწავლას. თითონ სოფლის შკოლა ძლიერ უბრალოდ არის მოწყობილი; ის არის ერთი უბრალო გაუთლებელი ხის ერთ ოთახიანი სახლი, სადაც შუაში დგას თუჯის ფენი. მართი მხრით დგანან მოსწავლეების დასასხდომი სკამები და სტოლები და მეორე მხრით მასწავლებლისა. მოსწავლეების სკამების წინ დგას შავათ შედებილი ფართო ხის ფიცარი, რომელზედაც ყმაწვილები სწავრენ მელით და ანგარიში გამოჰყავთ. მოსამსახურე შკოლას ძვირად ჰყავს; მის მაგივრად შკოლის მოვლას იღებს თავის თავზე ერთი ვინმე შკოლის მუშობელთაგანი, რომელიც დაგავს ხოლმე ყოველდღე, ცეცხლს დაანთებს და სხ. ასე რომ მასწავლებლების ქირის მეტი თითქმის არაფერი არ გაუღის შკოლისთვის საზოგადოებას. მასწავლებელ ქალს აძლევენ, როგორც ესთქე ზევით, კერაში 8 მანეთს, ზამთრის შეიდ თვეში ერგება 224 მან.; 40 მანეთიც რომ წერილი ხარჯი ჩავადგათ, სულ ერთი შკოლა დაუჯდება საზოგადოებას 264 მან. მასწავლებლების შოვნა იქ არ არის გასაჭირი, ამიტომ რომ მასწავლებელ ქალს ბევრს არ მოსთხოვენ ხოლმე: წერა კითხვა, არითმეტიკა, ღრამატიკა, და ცოტადენი გეოგრაფია თუ იცის ყოველთვის მიიღებენ ამისთანა ქალს მასწავლებელათ. ამას გარდა ამერიკაში ბევრი შკოლება მასწავლებლებისათვის; ე. ი. ისეთი შკოლები, სადაც ახალ გაზდა ქალებს ასწავლიან, თუ როგორ ან რა უნდა ასწავლოს იმან ყმაწვილებს და რა რიგათ უნდა მოეპყრას იმათ, რომ სწავლის ხალისი და სიყვარული ჩაუნერგოს გულში და მარტო შიშის გამო არ სწავლობდნენ.—

ს. მ. (მაგრებლება იქნება).

პოლიტიკა.

შრანსია.
პარიჟი, აპრილის 2-ს. მუშინ აქ მოვიდა ბელგიის მინისტრი შერ-მრბანი და იმავე დღეს ჰქონდა რჩევა ლეალეტთან; ხელ იმპერატორს უნდა წარუდგეს. „მონიტორის“ სიტყვით კამისია აპრილის ხუთში კიდევ შესდგება; ბევრი ფიქრობს ამ კამისიის ერთი სხდომაც საკმაო არის, რომ ყველა დაბრკოლებები გამოიკელიონ და მოსპონო. ბელგიის გაზეთებს დიდი იმედი აქვთ შერ-მრბანის გაღენისა, და ყველა დაბრკოლებებს მალე გადასწყვეტია.—რამდენიმე კაცი იყო დაჭერილი იმის გამო, რომ იმათ ეთვაქთ ასაშფოთარი სიტყვები საზოგადო კრებაებში; ესენი დამრიგებელმა (исправительный) სასამართლომ დასაჯა ოთხის თვით ციხეში დაჭერთ და ასასი ფრანკიც შტრაფი დაადვა. „შანის“ გამომცემელი არის დანიშნული პარიჟის მეშვიდე ამომრჩიველს მარაში დეპუტატის კანდიდატათ; მეშვიდე ნაწილის კანდიდატათ არის დანიშნული ვანოი „Temps“ის თანამშრომი, უ. შერი.—რომიდან იწერებიან, რომ ჯერ არც შრანციის იმპერატორს და არც სხვა კათოლიკეთა მეფეთ არ მიუღიათ მოწვევა მსოფლიო საკათოლიკო სობორზე

წასასვლელათაო. თუ ყველა ხელმწიფეებს მოიწვევენ, მაშინ იტალიის კარფალი მკეტურთ მმანუელიც უნდა მოიწვიონ, მაგრამ ამის მოწვევა ჰაპას არ უნდა.

პარიჟი. შ. ტიერის სიტყვა კანონის-მდებელ კრებაში: „მე არ ვამბობ, რომ ამ უკანასკნელ დროში ჩვენი მამულის თავისუფლება არ წაწეულიყოს წინ; მაგრამ ისეც უნდა ეთქვა, რომ ამდროს შრანციამა ცოტა უკანაც დაიწია“. აქ უ. ტიერმა სთქვა რამოდენიმე სიტყვა პარტიებზედ. „რასაკვირველია პარტიები არის შედგე იმ რევოლუციებისა, რომელნიც იყენენ შრანციაში 1789 წლიდან 1851-მდე. ყველა პარტიას თავისი პროგრამა აქვს და თავის წადილი, მაგრამ არიან ისეთი წიფთები, რომელნიც საერთო და სანატრელია ყველათვის, ყველა პარტიებისათვის. მს შემაერთებელი წიფთი, იმის აზრით, არის პირადი თავისუფლება ყოველი მოქალაქისა, თავისუფლება გამორჩევის დროს და პარლამენტური მმართველობა. შეიძლება ზოგმა სთქვას, რომ ჩვენ ესენი ყველა გვაქვს. მს ტყუილია. პირად თავისუფლებას ჩვენში ძლიერ ხშირად არღვევენ სხ. და სხ. კანონების გამო, ნამეტურ საზოგადოების დაცვის კანონის გამო. (ხმიანობა წინააღმდეგებისაკენ). არ შეიძლება არა სთქვან, რომ ბექდვას მეტი თავისუფლება მიეცა; მაგრამ ეხლანდელ ბექდვის საქმეებზე პროცესების სიმრავლე ვერ მოათავსეს ბექდვის თავისუფლებასთან. ბექდვის კანონებით უნდა იყოს დაცული მარტო საზოგადოების ხნეობითი გრძნობა; ხელმწიფის პიროვნება ცუდათ არ უნდა იხსენებოდეს; ამას გარდა ნაფიცების განსამართლება. გამორჩევის დროს კი ჩვენ სულ არ გვაქვს თავისუფლება. მმართველობა ყოველთვის ერევა დეპუტატების გამორჩევაში (ხმიანობა)“.

სახელმწიფო მინისტრი რუერი: ჩვენი კონსტიტუციის მუდამ კიცხვის მაგიერად—ბარემ რევოლუცია იქადაგო ისა სჯობია.

შ. ტიერი. ჩვენ კი არ ექადგებთ რევოლუციას, თქვენ ეხმარებით იმას თქვენი მოქმედებით.

შ. ტიერი განაგრძობს თავის სიტყვას: მიიხედ-მოიხედეთ გარეშკო. მანა ყოფილა როდესმე ქვეყანა ესეთ აღშფოთებულ მდგომარეობაში? მინ შეჰქმნა ამ ნაირი საქმის მდგომარეობა, რა გზას დაადგება ჩვენი მმართველობა მომავალში? არეცი. მაგრამ, რჩევის ნება რომ მქონდეს მე, ურჩევი იმას, რომ ერიღოს ომიანობას რომ საფრანგეთმა მარტო მაშინ მოჰკიდოს ხმალს ხელი, როცა ის იქნება იძულებული შეურაცხყოფის გამო, და როცა მთელი ხალხი მოინდომებს ამას და როცა მამულს ექნება იმედი რომ ხელს გაუპართავს მას მთელი ქვეყანა; მარტო მაშინ აღარ შეეშინდება ხალხს უიცრივ ბრძანების მოსვლისა; საომრად გამოდითო. მარტო ხალხმა უნდა გარდაწყვიტოს—იქნეს ომიანობა, თუ არა. ხალხის უფლება თავისუფლებაზე ისე ცხადია, როგორც მზე. მს არის იმისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი. ცხოველი ინჯერესი.—(გახშირებული ტაშის კერა მარცხნა მხრით ოპოზიციონებისაკენ).

პარიჟი, 2 აპრილს. აქ გამოვიდა მმართველობისაგან გამომცემელი პატარა წიგნი სახელად „წიგნი დეპუტატების გამომრჩეველებთან რომელნიაც სხვათა შორის სწერია: ერთის ხმით მოქმედება სხვა და სხვა მმართველობის წინააღმდეგი (ოპოზიციის) პარტიებისა ჰწინასეს მათ ბოროტ-განზრახვას, და მმართველობამ უნდა მიიღოს მის მოსასპობელათ შესაფერი საშუალება. მსლა რომ 1848 ან 1852 წელიწადი იყოს და ხალხი თავის ხელმწიფის ამორჩევას აპირებდეს, მაშინ მმართველობა შეუშფოთებლად დაიწყებდა გამორჩევის გათავების ცდას, რადგანაც მმართველობა დარწმუნებულია, რომ ამორ-



ჩეული იქნებოდა ისევე ის, რომელიც აქამდის მართებდა სახელმწიფოს. მხლა მმართველობის ეალია ებრძოლოს ჩვენი დაწყობილობის წინააღმდეგებს და გარდაცილოს თავის ის უწყობა, რომელიც გამორჩევის შემდეგ წარმოადგება, თუ მმართველობის წინააღმდეგი პირები გამოირჩიეს ძანონ-მდებელს (კარპუსში) კრებაში, საფრანგეთი არ მიიყვანს საქმეს იქამდის, რომ თავის ამორჩიულ ნაპოლეონსა და კანონის მდებელს კრებას შუა, ამ ცუდის ამორჩევის გამო მოხდეს უთანხმოება და მტრობა.

— **მსმალეთი.** ზაზეთი Nord-ის კორესპონდენტი იწერება 31 მარტს სტამბოლიდან: აქ ძლიერ გაცხარებული მზადებაა ომიანობისთვის. სახმედრო საქმისათვის იმდენი ფულია დახარჯული და იმდენი იხარჯება, რომ მმართველობის შევალეებს ძლიერ ეშინიათ თავის ვალის დაკარგვისა. აქ არ იციან, რა არის მიზეზი ამ მზადებისა და რა განზრახვა აქვს მმართველობას; ჰგონიათ რომ ეს მზადება სპარსეთთან საომრად არის, თუმცა უკანასკნელ დროში ამ ორ სახელმწიფოს შუა ყოველი უთანხმოება თითქმის სრულებით მოისპოა.

შლორენცი. ზაზეთი France-ში იწერებინა ფლორენციიდან, რომ ამ უკანასკნელ არეულობაში არც მარბაღისა და არც მადინის მომხრეებს არ მიუღიათ არაერთი მონაწილეობა. რომ მადინი თერთან ურჩივდა თავის ამხანაგებს და მომხრეებს ამ საქმეში არ გარეულებენ.

ისპანია.

ნიუ-იორკიდან არის მიღებული შემდეგი ცნობა ტუბაზე: „მარტის 12 რევილიუციონერებმა გამოსცეს დეკრეტი მონების სწრაფათ განთავისუფლებას. ამ დეკრეტში არის ნათქვამი, რომ მონობა არის შემოტანილი ისპანიის მფლობელობისაგან და ისპანიის ბატონობა და ის ერთად უნდა მოისპოს კუნძულებზე; ვისაც მონები ჰყავთ, იმათ ფასი მიეცემათ; განთავისუფლებულთ ნეგრებს მიეცემათ თანასწორი სიმართლებები თეთრებთან და იქნებინა მოკლენი გამოვიდნენ ჯარათ, რომ უშველონ რევილიუციას. ეს ამბები ისპანიის მმართველობის ბრალია, რომელიც თავის მტრებზე უკან დარჩა წარმატებაში. „Times“-ში დაბეჭდილია შილა-დელფიიდან წიგნი, რომელიც გეცნობებს, რომ აღმოსავლეთის მხრიდან ტუბას მოადგა ოთხი დიდი გემი ხალხით, სურსათით და სამარო იარაღებითა. არ ვიცით მართალია ეს ხმა, თუ არა, მაგრამ შეუძლებელი კი არა არის რა ამაში. მძი ძალიან გაცხარებულია და ისეთის აუარებლის სიმკაცრით იქცეიან, რომ გასაოცარი არის. ინსურგენტების ბელადი, ხუან-პაბლე ლაპეტი, მარტის ცხრაში დაჭირეს ტყვეთ და იქვე დახვრიტეს.

— მადრიდი, მარტის 26-ს. ზაზეთი „კორესპონდენციის“ სიტყვით, აქ უბოვიათ განძრახებული კარლისტები; ამის გამო ორი გენერალი და ორი აფიცერი დაუჭერიათ. კარლისტების ბელადი მირამონი დაუტყვევებიათ პატერნის ახლოს და იმის მომხრეებიც მაშინვე დაფანტულან, რადგანაც შეუტყვიათ ხერესაში ომი დადგაო. — აქაური ლიბერალები ძალიან უმადურათ არიან მმართველობასთან, რადგანაც იმას ჰსურს კათოლიკების ეკლესია დასტოვოს სახელმწიფო ეკლესიით და ამასთან სამღვდლოებს აძლიოს სახელმწიფო ხაზინიდან ჯამაგირები. — „Temps“-ში სწერენ, რომ კონსტიტუციის კრებას მოუვიდა თავში ერთი ახალი აზრი, რომ ხელმწიფე ვადით ამოიჩიონო; ეს ვადა არის 18 წელიწადი. — აპრილის ორს. ლერიდის პროვინციაში გაჩნდნენ დაიარაღებულნი კარლისტები; ამით გამოუყენეს ჯარი. მარტისში და ბურგოსშიაც იყო შეტაკება კარლისტებსა და

ლიბერალებს შუა და ორსავე მხრიდან ბლომათ დაიხოცნენ.

ანგლია.

ანგლიაში ახლა გულის ხმა არის მიქცეული ზუძონის მიწის შეერთებაზე ძანადასთან, რომელიც კარლოს II დროს არის ნაჩუქარი ერთის კამპანიისათვის; თუმცა ეს კამპანია ახლაც არის, მაგრამ ძანადის კონკურენციის (შეცილებას) გამო ვერ სარგებლობს იმ ცრული მიწით, რომელიც შეიცავს 200 მილიონს ანგლიის აკრს. ამასთან ეს კამპანია თუმცა მდიდარი არის, მაგრამ მიწის საშუალება არ არის საქმარ იმოდენი მიწის დასახლებისათვის (კოლონიზაცია). ამის გამო ის უთომბს ძანადას მიწას, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ორი მილიონი ფული და ათი მილიონი აკრი მიწა გამოართოს.

— ანგლიასა და ამერიკას შუა ატლანტიკური ტელეგრაფის კამპანიამ გამოაცხადა თავისი მოქმედების ანგარიში. პირველათ ამ ტელეგრაფით გავზანდილი დებეშის ფასი იყო დანიშნული ოცი გირვანქა სტერლინგი (კამეტი თუმანი). სამი თვის განმავლობაში ამ გვარი ტარიფის დროს ყოველ დღე 29 დებეშა ძლიერ იგზავნებოდა, და სარგებლობაც ყოველ დღე სამას ორმოცდა ათ თუმანზე მეტი არ იყო. მერე დებეშის ფასი გაანახევრეს, ე. ი. ათ გირვანქა სტერლინგათ გახადეს; ეს ფასი კამეტი თვე ედდა და ამ დროს კამპანია დღეში ოთხას თუმანს იღებდა; დებეშების რიცხვამაც ყოველ დღე 64-მდე აიწია. 1867-ში დეკემბერში ფასი კიდევ გაანახევრეს ხუთ გირვანქა სტერლინგათ და ყოველი დღის შემოსავალს კიდევ მოემატა ორმოცი თუმანი; დებეშებს რიცხვამაც 130 მოიმატა. შარშან სექტემბერში დებეშის ფასი გახადეს სამი გირვანქა სტერლინგი და დებეშებმა უფრო იმატა და იმედიც არის, რომ სარგებლობამაც იმატოს. აქამდინ ასეთი ცხადი მაგალითი ფასის დაკლებისაგან სარგებლობის მომეტებისა არა ყოფილა და კამპანიას ჰსურს ამ ცრტას ხანში კიდევ დაუკლოს გასაგზავნი დებეშის ფასსა.

— ანგლიის გავითებში მოგვითხრობენ მაგალითს საშინლის სისაწყლისას და სიგლახისას ანგლიაში. ამ ცრტას ხანში ერთს ქონში სედებრში ებოვათ გეამი ერთის სამოცდა ათის წლის დედაკაცისა, რადისა, და იმისი ქლისა, რომელიც დახოცილიყვნენ შიმშილისაგან. შესამოწმებელათ მოწვეულებმა ექიმებმა სთქვეს, რომ დედა ერთის კვირით მაინც წინ მომკვდარა თავის ქალზედო. რომელსაც შიმშილისაგან არა ჰქონია ღონე, რომ გამოსულიყო და შეეტყობინებინა ვისთვისმე თავისი დედის სიკვდილი. სრულებით ტიტველა სხეული ბებრისა იყო გხვეული ქილოფში; ქალს არაფერი ტანთ-საცმელი არა ჰქონდა, სრულებით დაბრანძული კაბის მეტი. მთხში არ ამოჩენილიყო არც მებელი, არც რამ ჭურჭელი, არც ერთი ნივთი და არც რამე საზღო.

— **ლონდონი,** მარტის 21-ს. კოროლევა მისცა ბარონის ღირსება ბარონეტა ჯონ ლაურენსს, რომელიც ინდოეთის მთავარმართველათ და გენერალ-გუბერნატორათ იყო. ეს ტიტული იმათ მამრობითს ჩამომავლობას უნდა გადაჰყვეს და სოუტგემპტონის საგრაფოში უნდა ეძახოდნენ ბარონ ლაურენსს პენჯაბისის და ბრეტლიისას.

— **ლორდი** შაფტსბერი იყო იმ სახლების საძირკელის ჩაყრაზე, რომლებიც არიან დანიშნულნი მუშების მდგომარების გასაუმჯობესებლათ. ეს სახლები შენდება ლონდონის სამხრეთის მხრივ; იმათი რიცხვი არის 650,

რუსეთი.

პეტერბურლიდან სწერენ „ლიბერტეში“, რომ რუსეთის მხრივ არა ფერი ომის სამზადისი არ არის. ახალ თოფიარაღს ორ წელიწადზე ადრე ვერც კი დაუჩივებენ მთელს

ჯარს, რადგანაც ახლა გვარდია და მსროლელების როტები ძლიერ არიან დაიარაღებულნი ამ თოფიარაღითა. არტილერია კი სულ გაუმჯობესებულია. კორესპონდენტს ჰგონია შრანციასა და პრუსიის შუა რომ ომი მოხდეს რუსეთი არ გაერევაო. რადგანაც ახალი თოფიარაღი არა აქვს ჯერ შეტანილი ჯარში; გარდა ამისა ახლა რუსეთის ყოველი საშუალება არის მიქცეული რკინის გზების კეთებაზე, ყმებისა, სასამართლოებისა და სხვა რეფორმებზე. ისევე კორესპონდენტი ამბობს პრუსიის საომრათ ძალზე მომზადებაზე.

— **მარშაიდან** გვეწერენ, ახლა პოლშის გუბერნიებში ემზადებიან სალდათის მოკრეფასა და იქაური თანამდებობაები დღე დღეზე მოელის უქაზს სალდათის აკრეფის დაწყებისასაო.

ტელეგრაფები

(პეტერბურლი მიღებული)

ბუხარასტი, მარტის 27-ს (აპრილის 9-ს). მთავარის ბძანების გამო აქაური საქალაქო რჩევა დაიშალა, რადგანაც იმათ მიიღეს ამორჩევის დროს რევილიუციური მდგომარეობა.

აქამდინ ჯერ ბევრი არიან ამორჩევაში მმართველობის მომხრენი. შუ. ბრატინო აქამდი ჯერ არსად არის ამორჩეული.

(ტფილისში მიღებული)

გუდაური, 13 აპრილს, წუხელის სამჯერ ზევი ჩამოწვა; კიდევ ელიან ტულაგინის ხილთან; ტფილისის მიმავალი სამი ფორტა ვერ გამოგზავნა. — 14 აპრილს. შორტები სულ გადმოვიდა; საელი გზა ოთხ დღეზე ადრე არ იქნება.

უცხო მხარე.

(რუსულიდან)

- ძინაო, აქ გვიტოს ცხოვრება.
- მე კი ვიცი უცხო მხარე;
- მის მხახველს არ აგონდება
- ეს დამწვარი ჩვენი არე.
- ის ქვეყანა მზიარული
- მის არ გააბედნიერებს?
- დიდი ხნიდან დაჩაგრული
- იქ სიყვარულით გულს იესებს...
- **მს,** რა უხვი ქვეყანაა,
- მითი ნეტავი მაჩვენა!
- მითხარ, გეთაყვა, სადაა?
- **ბოლოს** გეტყვა, გქონდეს სმენა.
- ლაყვარდ ცაზე ბრწყინვალე მზე
- ნიადაგ მხარეს ანათებს
- ზამთარი შემოდგამაზე
- ზედ მიყოლით არ აწუხებს.
- ჰველგან ხილი და ყვავილი
- მზიარულად გამოსქვიოს;
- იმ არემარეს ფრინელი
- მის დასტრიალებს, დამფრის...
- **მს,** რა უხვი ქვეყანაა,
- მითი ნეტავი მაჩვენა!
- მითხარ, გეთაყვა, სადაა?
- **ბოლოს** გეტყვი გქონდეს სმენა.
- იქ ვერც სხვა ნაჩიია:
- მითი მეორის ძმა არა;
- ჩვეთვის მხოლოდ სიხმარია
- მათი ცხოვრება ნარნარი.
- არც გლახაა, არც მდიდარი,
- იქ ყველა თანასწორია;
- მთუ ზარბაზნის ხმა არ არი,
- ძაცს სევედ არ მორევიან...
- **მს,** რა უხვი ქვეყანაა,
- მითი ნეტავი მაჩვენა!
- მითხარ, გეთაყვა, სადაა?
- **ბოლოს** გეტყვი, გქონდეს სმენა.
- შუთა და ხელი მუშაობს,
- სუდათ ყოფნა არ ვინ იცის;

ხელოვნობა, სწავლა ჰყავობს, შუგუნობა იქ არ არის. იქ ცოლი ჰყვანიან, ამხანაგი თავის ქმრისა; მთელი ხალხი გამაჯვლია და იმედი მამულისა.... — **მს,** რა უხვი ქვეყანაა, ნუ თუ ჩვენ იმას ვერ ენახეთ! მითხარ, გეთაყვა, სადაა? — **ჯერ** ეძებენ, ვერ უნახეთ.

„**დროშის**“ კორესპონდენცია. სევანეთი დგან. 1868 წელსა მე გამაწესეს სევანეთში იმერეთიდან; გაიხელით რა მრევლში, კიდევაც მოიწია დრო ზამთრის დადგომისა. მრთს უცხო კაცს და მეორედ გამოუტყდელს მღვდელს, რა უნდა მექმნა? — მაგრამ ჩემდა და ყოველთა სამღვდლოთა სანუგეშოდ იქ დამხედა ბლაღოჩინად ფრიად გამოცდილი და უმეტეს შეიღის წლის აქ ნამსახური, რომელიმანც ძლიერ კარგათ იცოდა და იცის მთელი ხალხის გარემოება; მან დამიბარა მე ვითარცა უფროსმა და მიბრძანა მამა-შვილურათ დარიგება, თუ როგორ მოქცეულ-ყოფილიყო მრევლში; უნდა ესთქვა მართალი, მრავალი შევიძინე ამ დარიგებიდან. მოვიქციე რა დარიგებისამებრ მამა ბლაღოჩინისა, მრავლთა მიმიღეს ვითარცა პატივ-ცემული მღვდელი. ძნიაზ ტენგიზ ღადეშკელიანმა, ვითარცა მისის მამულის მღვდელი, მიმიღო თავის სახლში, მომცა საკუთარი ოთახი, მომიჩინა წესისამებრ ხარჯი, გამოუტყხადა ქვეშევრდომთა თვისთა: „ეს მღვდელი არის წარმოგზავნილი უმაღლესის სასულიერო მთავრობიდან ჩვენდა და თქვენდა დამრიგებლად. ისმენდით და გაუგანებდით ამას ვითარცა საკუთარს მამასა.“ დარიგებისამებრ მისისა, ხალხთა მიმიღეს და მიმაწოდეს ყოველ მღვდელ-მოქმედებათათვის. ძნიაზ ტენგიზის მდგომარეობა წარმოადგენს ერთს ძველებურსა მეფის ანუ დიდის მებატონის მდგომარეობასა; სასახლე მისი გარეშე მოციხის ზღუდებით შემოკრულია, შიგნით სხვა-და-სხვანი სადგომები ციხის ზღუდებზედ მიშენებულნი არიან. შუა ადგილს კალონერჩ დაგებული; ჩრდილოეთის მხრით-გემი 1) და მახედ აყოლებული დიდი ოთხ კუთხიანი კოშკი, რომელიც არის სიმაღლით რაოდენიმე საყენი და განიყოფება ხუთ სადგომად; გემს ქვეშ დაბლა ეტაჟაში დადგმულია ბელგები 2) და მარანი არაყისათვის; კოშკის მარცხნივ დასავლეთის მხრით-დაბალი დიდი სახლი, რომელშიაც დაეტევა შეიღას კაცამდის; ამაში მზადდება ყოველივე ხარჯი; ციხეზედ არის აკიდებული რკინის კარი; ამ კარის გასაღები აბარია ერთს ტენგიზის ერთგულს მონას. ციხეს გარეთ ლამშკარია 3); ამის მარჯვენა მხრით კალო და ცალმაგი 4); დასავლეთის მხრით-ორი სადგომი ქეშენი 5), რომელიც შეცვლილ არიან სახლად. ძნიაზ ტენგიზი არის ხელმწიფის მორჩილი-ცოლი ჰყავს აფხაზეთის თავადთაგანი, შემკული ყოველითა მშენიერებითა, ვითარცა ხორციელებითა, ვგრეთვე სულიერის მოქმედებითა. მე ვნატრი მისსა სარწმუნოებასა, შემკულსა კეთილითა საქმითა, სძულს რა მას ყოველი უწყსო მოქმედება, ხშირად ამხილებს კაცთა და ქალთა ცუდთა მოქმედებათა შინა; სამღვდლო მოქმედებათათვის კეთილის მსურველია და პატივის-მცემელი; მე ვევედრები ღმერთს განმრავლდეს ამის მსგავსი დედთა სქესი ქვეყანასა ზედა. ძენი ჰყავთ ვგრეთვე შემკულნი მშენიერებითა და წესიერებითა. (მათს ხარჯზედ დაერჩი ათი თვე.)

სამღვდლო კრებულთა სევანეთის კამისი-
 1) სახლი საბატე 2) პურის ჩასაყრელად კილომენი.
 3) სასტუმრო სახლი 4) სამკუთხიანი სახლი მსგავსი ნალიისა. 5) აკლდამა მიცვალეულთათვის.



სათა, ფრიადის მათის კეთილ განწყობილ-
ბით, მთხოვეს მიმოხილვა მათის მდგომარეო-
ბისა ხალხთა შორის. მითარცა გამოუტყველმა
კაცმა და მსურველმან თვისის გამოცდისა,
დავეთანხმე თხოვნათა მათთა, დაეწყე მიმო-
ხილვა გახაფხულით, იმ დროს როდესაც მა-
მა ბლალაჩინი წაბძანდა საქმისაგანა იმერეთს.
მე არა მქონდა ჩემი თავით უფლება მიმო-
ხილვისა; მაგრამ მ. ბლალაჩინმა, მსურველმა
ჩემის გამოცდისამან, მომანდო თვისის გან-
კარგულებით, რათა არა მომხდარიყო მობრუ-
ნებადმდე მისსა უწყისობა სენათის სამღვდ-
ლო კრებულთა შორის. მან ჰქმნა ესე არა
მისთვის, რომ კრებულთა შორის უმჯობესი
ფიციადი, არამედ ჩემდა გამოსაცდელად; უმჯობ-
ლად ერთის მხრით მისთვის, რომ შეეტყო
ვარ თუ არა გამოსადეგი სამსახურისათვის და
მეორეს მხრით საიმედო ვარ თუ არა? ამ მი-
ზეზეა მომცა ნება მიმოხილვისა.

მიანელით სოფელს ბეჩოს; აქ ბრძანდება
მღვდლად ერთი გამოცდილი პირი, ნამსახუ-
რი სენათში დიდის ხნიდგან და მოძღვართ
მოძღვარი სამღვდლოთა; მან თვისის აღერ-
სიანის საუბრითა დაატკობ სმენა ჩემი. მომი-
ყვა ძველებულ სენათის ჩეულებსა, რომ-
ლიდგანაც მოიყვანა მაგალითები სხვა და სხვა
უწყისობისა: და მასთან წარმოსთქვა მადლო-
ბა ლმერთხედ და ხელმწიფე იმპერატორზედ
ამ სიტყვებით: „ეხლა მამაო! მადლობა გე-
მართებს ჩვენ ყოველად მოწყალე ლმერთხედ
და ხელმწიფე იმპერატორზედ, რომ ბევრი
უწყისობანი მოისპენ სენათში და იყვი არის,
უკეთუ ჩვენც მკადაგებლები მეცადინე ვიქმ-
ნებით მოკლეს დროში ესენი სრულიად მო-
ისპობიან“.

მრთი უმთავრესი უწყისობა ეს იყო, რომ
ამათი ცრუ პაპებიდგან იყო წახდენილა ხალ-
ხი; იგინი ატყუებდნენ, რომ ხელდასხმულნი
მღვდელნი ვართო. ცაგერელისაგან 1); წირვა
ლოცვით და ყოველივე საიდუმლოებით ნი-
ჭიერნი და განსწავლულნი“ ჩემნი წირვა-ლო-
ცვა დიდი გამოსადეგი სასარგებლო არის
თქვენთვისო, რადგანაც მალალი ადგილი არის
სენათი, უნდა იცოდეთო, რომ ღვთის მან-
ლობათ ვართ და ჩემნი ლმერთი სხვა და
უმჯობესი არის მდებარე ქვეყნების ღმერთ-
ზედო 2). მხლა, რომ მთავრობამ მღვდლები
გააწესაო, ესენი ერთი თქვენთვის არა ლოც-
ვილობენო, მეორე ემაწვილის მონათელა ჩვენ
რომ ენათლავთ ისე უნდაო. ამა კარგათ იფი-
ქრეთ ახალს დაბადებულს ემაწვილს რომ ხე-
ლი მოჰქიდოს მღვდელმა, მას როგორ შე-
ესვლება ეკლესიაში და ეწირვებო? ხალ-
ხიც მიუგებდა: ხო შა ლ გ რ მ ე თ ხ ო ტ კ ი ც
ა მ ბ ა ე 3), კი რას აგონებდნენ: როდესაც ქა-
ლი დაიბადება „მის გაზდას სიკვდილი სჯო-
ბიოა“ და ამის გამო კლავდენ ახლად დაბა-
დებულთა ქალთა, სხვა და სხვა ნაირათ. ზოგს
ძუძუს არ აწოვებდენ, ზოგს ღველფს ჩაყრი-
დენ პირში და ზოგს ხელითაც მოკლადენ.
მესამედ ეკლესიაში როგორ უნდა შევიდეს
ქალიო, უწმინდური არისო. უწმინდურებს
რას ეძახოდნენ? მკითხე—რა უნდა ესთქვა და
რას მივაწერო მათი ფიქრი, მგონია მრუშე-
ბას და ქალის წესს ეძახოდნენ. ამ მიზეზებით,
მამაო, ქალები კი არა, კაცებიც არ შემოვი-
დოდნენ ეკლესიაში სალოცველად. ახლა
შემოდან ზემო-ხევის სენაები ეკლესიაში?
მკითხე მე მღვდელს, როგორც არის მკადაგე-
ბელის დიდის მეცადინეობით შემოდან ზო-
გან და ზოგან სრულიად არა. რატომ არის
ზოგან, რომ არ დადიან? მკითხე. მიტომ, მი-
პასუხა მღვდელმა, რომ თვით სრულიად სურ-
ვილი არა აქვსთ და მთავრობა ვერა პრთავს

1) ცაგერის—ეპისკოპოსს უძახიან; დიდი ხანია იქ
ეპისკოპოსის ადგილი მოიხსოვ 2) იმერეთს და სამეგრე-
ლოს ეძახიან 3) ლიბა ლმერთმა მართალს ამბობთ.

სრულ ძალას. უწროსები უნდა აგონებდენ
იმათ. სასულიერო ნაჩლინი რომ გეყავს,
შენც იცი, დარიგებით ყველას არიგებს, თუ
როგორ უნდა მოიქცენ. რაც სახორციელო
უფროსს შეეხება, დარიგება კი არა, სენათ-
ში რომ არ დგებოდა, ხშირად ოჯახში დია-
რებოდა, რა უნდა გაეკეთებინა იმას? „ლო-
ცოს ლმერთმან ის პირი, რომელმაც „ჩიკო-
ლიკის“ ცხოვრება ასწერა და მისი ხელი იყოს
კურთხეულ „დროებაში“ მისი ყოფა-ქცევის
განცხადებისათვის; იმ დალოცვილმა, როგორ
შეიტყო ასე დაწერილებით გარემოება და
ყოფა-ქცევა ჩიკოლიკისა. მსენი იყენენ სე-
ნათის ჩეულებანი? მამაო! რას ბრძანებ, ზო-
გი ამაღამ ესთქვათ, ეს არის მრევლის მღე-
დელს მიუახლოვდით, მგონია მანაც ბანი
დამიბას და რაც მე არ მომავონდება, ის გა-
მასხენებს, რადგანაც ისიც დიდის ხნიდგან აქ
არის ნამსახური.

მღვდელი მიხაილ მჭედლიძე.
სოფ. შხოთრეთი.
1869 წ. აპრილი.

სხვა და სხვა ამბავი.

მრთა საფრანგეთის ექიმმა დოქტორმა ბუ-
ისონმა აღმოაჩინა ახალი საშუალობა ცო-
ფიანობის წაძლიებისა. ის ამბობს, რომ
რუსული თბილი აბანო არის ამ საშინელი
ავთმყოფობის საუკეთესო წამალიო; იმის სი-
ტყვეებით ამ საშუალებით მოურჩენია იმას ოთხ-
მოც კაცამდე, რომლებიც იყენენ ცოფიანი
ძაღლებისაგან დაკბენილინი, „მრთხელ ვიყავი
მიწვეულ, ამბობს უ. ბუისონი, ერთ გაცო-
ფიანებულ კაცთან, რომელსაც ეს ავთმყო-
ფობა უკანასკნელ მდგომარეობაში ჰქონდა;
სისხლის გამოშვების შემდეგ, მე გაიწმინდე
ხელები იმ ხელსახოცით, რომელიც ავთ-
მყოფის ნერწყვში ყოფილიყო თურმე გასე-
რილი. იმ დროს მე ერთი თითი მქონდა ცო-
ტათ გაჭრილი; ეს, რასაკვირველია, საკმაო
იყო იმისთვის, რომ გესლი შემსვლიდა სი-
სხლში და მე გავცოფიანებულვიყავ. მე იმ
წამს დავიბანე ის თითი თბილი წყლით და
გაიწმინდე; ცხრა დღემ გაიარა ისე, რომ მე
ამაზე არც მიფიქრია; მეცხრე დღეზე, რო-
დესაც მე ვიჯგვი ჩემ კაბინეტში, უეცრად
ვიგრძნე რალაც ტკივილი ჯერ ყელში და შე-
მდეგ თვალებში; ამ დროს იქ მსუბუქად მე-
ჩვენა ჩემი თავი, რომ მეგონა, ცამდრ აუბტე-
ბოდი რომ მომენდომებინა და ფანჯრიდგან
რომ გადამხტარეყავ, ჰაერში შეეჩერებოდი
სიმსუბუქის გამო; თან და თან მე წამოდდი-
ოდა პირიდან დარბილი და მიძნელებოდა
ბრწყინვალე ნივთების ცქერა; შემდეგ მომი-
ვიდა სურვილი სირბილისა და რისმე კბენისა;
სმა ძლიერ მიჭირდა და შეგატყე, რომ წყლის
შეხედვა მე უფრო მაწუხებდა, ვიდრე ყელის
ტკივილი; წყლის სმა შემეძლო მხოლოდ მა-
შინ, როცა თვალებს დაეჭუქავდი; ჰკივილს
ეგრძნობდი დაკოდილ თითიდან მხრამდინ. მე
მქონდა ჩემი საშუალებების იმედი: როგორც
შევედი აბანოში და სითბომ მიაწია 45°
გრადუსამდე, იმ წამს ვიგრძნე, რომ მოვედი
ჩეულებრივ მდგომარეობაში და გავთავის-
უფლდი ყოველი სენისაგან.“

ის ყოველი თუ მართალია, რალა ლაპარა-
კი უნდა, რომ ამ ბუისონის ექიმობას დიდი
მნიშვნელობა ექნება მედიცინაში, რადგანაც
ექიმებმა არ იციან ჯერ არც ერთი ბეჭდითი
ცოფიანის მოსარჩენი საშუალება. ჩვენში,
ყველამ იცის, რა ხშირად ცოფდებიან ძა-
ღლები და იმათგან კაცებიც და რა საშუა-
ლებას (მარჩილები-შელოცვას) ხმარობენ ხო-
ლმე ამ შემთხვევაში.—

ზაზეთის „ტიმის“ სტამბაში გამოცადეს
პირველად ახლად მოგონილი „მსწრაფლ-მე-
ქდავი მაშინა“. ამოჩნდა რომ ამ მაშინას შე-
უძლია დაბეჭდოს საათში 46,000 ფურცელი.
მაშინა ჰბეჭდას დაუბოლოებელ ქალღმღვდ-
ლომელიც საქიროების და გვარად თითონ
იშლება უკაცის ხელოთ მეორე მაშინით.—

ზარიბალიმ მისწერა შემდეგი წიგნი თავის
მეგობარს ძამილოლა აგრილოლს პალერმოში:
„ძაბრერა, 16 მარტს 1869 წ. საყვარელო
მეგობარო, ძამილოლა! ძლიერ გამდლობ გა-
ხსენებისათვის. უთხარ ჩემ მაგიერ ჩვენ კარგ
მანდაურ მეგობრებს, რომ დრო არის პატრე-
ბის (ფრანგების მღვდელი) შელახვისა და მა-
მულის განთავისუფლებისათქო. ლმერთს გე-
ფიცებით რომ დრო არის! შენი ზარიბალი.“—

სამაპრო. ცნობები.

28 აპრილს დანიშნულია ტფილისში უკანასკნელი
ვაჭრობა ფქვილის და კრუხის გადასატანად შოთიდან
მარბის და შუთისს, და შეკეთილიდან მსურგეთს.
ამ საგანზე ორჯელ იყო დანიშნული ვაჭრობა მაგრამ
ორჯელვე ფასი მმართველობას ხელს არ აძლევდა. მს-
ლა ვაჭრობა მოხდება ინტენდანტის სამმართველოში
პირის პირ, ან დაბეჭდილი განცხადებებით.—პირი-
ბაები ისევ უწინდელი რჩებიან.—(სულ გადასატანია
შოთიდან: მარბის 500 ფქვილი და 50 ჩ. კრუხა; შუთისს—7000 ფქვილი და 660 კრუხა; შე-
კეთილიდან მსურგეთს 4000 ფქვილი და 375
კრუხა).

შუთისის უეზლის სამმართველოში 20 მისისთვის
დანიშნულია ვაჭრობა ქვრივი ანისტასია მღვდლოვის
ქუთაისის მამულის გასასყიდათ; მამული, რომელიც
იყიდება კ. ბარნაბა ლორთქიფანიძის ვალის (400 მ.)
გარდასახდელად, შეიცავს სამოსახლო ადგილს და მაზე
ამენებულ ხის შენობებს და დაფსებულობას ორას ოც
და ხუთ მანეთად (225 მ.) ამ მამულის შექმნის მსურ-
ველს შეუძლია დანიშნულ დროს მივიდეს ქუთაისის
უეზლის სამმართველოში და ნახოს იქ ზემოხსენებული
მამულის აღწერა და სხვა ამ საქმის შესახები ქალღ-
მღვდელი.

აკვასიის აქეთა მხრის პრიკაზის განკარგულებით
ამ წლის 11 ივლისისთვის დანიშნულია ვაჭრობა ქვე-
მოხსენებულთ შორის და ლუშეთის უეზლის მე-
ბატონების მამულის გასასყიდათ პრიკაზის ვალის გარ-
დასახდელად: 1) ახნაური იოსებ ივანეს ძის წინამ-
ძღვაროვისა; 1859 წ. 1750 მანეთში დაგირავებულ-
ლია მისი ლუშეთის უეზლის, სოფ. ხუბრიანთ-კარის
მამული, მართა სარიდონოვისა—მზაიანის ქალი-
სა; 1858 წ. 1000 მანეთში დაგირავებულია ვენახი,
წისკილი, და ლუშეთის უ., სოფ. ახატანში-დუქნები
3) ახნაურის ილია სოლომონის ძის მთრქისტანო-
ვის 1859 წ., 2500 მანეთში დაგირავებულია მისი
მამული შორის უეზლის, სოფელა თელაღორს. 4)
პოდაროჭიკის ნ. ასლან ნიკოლოზის ძის მარხან-
მოურავის, 1860 წ. 2,000 მანეთში დაგირავებულია
მისი მ ვენახი შორის უეზლის სოფლებში ახალქალაქს
და ძაოთხსხვს.—ამ მამულის შექმნის მსურველს შე-
უძლია მივიდეს დანიშნულ რიცხვს ლუშეთის და შო-
რის უეზლის სამმართველოებში და ნახოს ზემოხსენ-
ებული გასასყიდი მამულების აღწერა.

სამილიობრშიო
განცხადება

ამის ქვემოთ ხელის მომწერს ამ ცოტა
ხანში სურს გამოსცეს ძვირფასი თხზულება
მეფე ბიორგის ძის იოანესის; იმის
გამოცემა შეადგენს დიდი მოთხოვნილებას
ანუ საქიროებას ყოველ ქართველისათვის თა-
ვისის საგნით, რომელსაც ეს თხზულება შე-
ეხება აგრეთვე იმით, რომ ეს წიგნი შეიცავს
იმ სახელ-წოდებთ, რომელნიც გვექონია ძვე-

ლათ და ახლა კი აღარა უღვდენენოვით. არ დავმალავთ ამასაც,
რომ იმ საგანზედ, თითქმის არავის არ უწყე-
რია ქართულს ენაზედ, თუმცა საქიროება
იყო ამისთანა საგანში. მს წიგნი ნამეტნავათ
საქიროა მამულის მებატონეთათვის, რადგა-
ნაც ის შეიცავს იმათთვის საქირო საგანს—
ბუნების მეტყველობას ანუ ბუნების აღწერას.
შველა ქართველს შეტყობილი აქვს, თუ რა
მშრომელი და მოღვაწე კაცი იყო მეფის ძე
იოანე, თუ რა ჰქონდა სახეში, რა უნ-
დადა თავის მუშაობით ანუ შრომით, რო-
მელიც სჩანს მის დაწერილებში. არ შეეც-
დებით რომ ვთქვათ, იმას მხედველობაში
ჰქონდა ქართველების განათლება. მს არის
პირდაპირი პასუხი იმისა. იმედი არის არ დაე-
მალავთ იმის თხზულებებს სკავრში ანუ ზან-
დუქებში და თავების შესაქმნელათ არ გაეზ-
დით, როგორც გავილილმა დროებამ გეჩვენ-
ნა, და იმედია ვისაც კი აქვს იმისი თხზულებ-
ბა ეცდება საზოგადო გახადოს დაბეჭდით.
რასაკვირველია, ეკონომია, ანუ უფრო ზედ
მიწვენით ვთქვათ სიძუნწე თავის საკუთარ
ლაპარაკში ანუ შრომაში შეიძლება და არა-
ვის არა აქვს ძალა ამაზედ; მაგრამ რას ვიტყ-
ვით, რომ ჩვენ ქართველებს სხვაშეცა გვაქვს
გავრცელებული ეს თვისება, როგორათაც
სხვის ნაღვაწში ანუ შრომაში, შესახებ და-
მალვისა სხვის თხზულებისა, მომპირნეობა
საცხოვრებელში, ტანცმაში, და თუ ასეც შე-
იძლება ესთქვათ დროების სარგებლობაში,
ესე იგი ცუდათ არ დავკარგოთ დროება; ასეც
უნდა; დამალვა ამ ნაირ შრომისა, როგორა-
თაც იოანე ბატონი შევილისა დიად
დიდი საწყენია და დასაკლისია მეტადრე უა-
რარაობაში, როდესაც არაფერი არ არის იმ
ნაირი, ანუ იმის მზგავსი ჩვენ ლიტერატუ-
რაში. მგონია ასრე უნდა იყოს, რომ ჩვენ
ეცლილობდეთ ყოველი კეთილი აზრი კაცისა
ყველასთვის საუნჯეთ გაგხადოთ, რათა ისარ-
გებლონ. შესახებ ენისა ვიტყვით, რომ ეს
ენა არის იგოვე მშვენიერი ენა, რომლითაც
ავტორმა დასწერა თავისი „ძალმასობა“ სიგე-
რით დიად დიდა „ძალმასობაზე“ მჯობიე-
რობით ანუ უკეთესობით გინდ საგნის აღწე-
რებით ამაზედ სიტყვა არ უნდა. მთ ვინმე
ხედავს უსარგებლოთ დაბეჭდვას ამ ნაირ შრო-
მისას, ჩვენ ვეტყვით პასუხათ არამც თუ ღირ-
სნი არიან რომ ამ ნაირი წიგნები დაიბეჭ-
დოს, არამედ ღირსნი არიან, რომ მახუშტის
იოანესს და ავტორს შევხვდეს ტყაოსნისას
აღუშართან ძველი. იმედი არის, რომ დრო
ამასაც გეჩვენებს. მანრკვევას იოანე ბატო-
ნის შევილის შრომისას ეცდებით წინასიტყვა-
ობაში, რომელიც იქმნება იმ წიგნიში.

სახელ-წოდება ამ წიგნისა არის ეს:
„ბუნების მეტყველება“
ანუ

შეკრება ლექსთა სხვათა და სხვათა
თა ისტორიათაგან ანბანსა ზედა
ასხმითა,

რომელიცა შეადგენენ სამთა სა-
მეფოთა ბუნებისათა,
მს იგი:

ცხოველთასა, მცენარეთასა და
აღმონაკვეთთასა, გინა აღეგრო-
თასა ქვებითურთ

სხადითა განმარტებთა თვისებისა, ნიშნე-
ბისა და ხმარებისა მათისათა და წოდებითა
სახელთასა რუსულსა, ლათინურსა და ქარ-
თულსა ენასა ზედა.

შრომითა და მოღვაწეობითა
საქართველოს მეფის ბიორგის ძის
იოანესისითა

ს.პეტერბურსა შინა.
1814 წელსა.
გამომცემი სტეფანე შამრეკელი.